

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი № 15

17 ივლისი 2018 წელი  
ხაშური

სხდომის თავმჯდომარე- საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ზურაბ ნოზაძე, გიორგი ბერაია, ირინე გელაშვილი, ელგუჯი გოგალაძე, მიხეილ კაპანაძე, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე, ელზა კიკაძე, ლაშა ლურსმანაშვილი, გურამ მაზიაშვილი, დავით მეტრეველი, იმედა მეტრეველი, ემზარ მურჯიკნელი, ცოტნე ნოზაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, აკაკი ჩიტაძე, მერაბ ცხოვრებაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა, ვაჟა ხარშილაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე, საფინანსო სამსახურის უფროსი მარინა გელაშვილი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
2. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის #2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივლისის №1397 წლის განკარგულებით ცვლილება შევიდა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136

განკარგულებაში. აღნიშნული განკარგულებით ხაშურის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 47 500 ლარი, დაბა სურამში, 26 მაისის ქუჩის მონაკვეთზე ბეტონის საფარის და სანიაღვრე არხის მოწყობისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ უკვე მიმდინარეობს 26 მაისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები გაჭიანურებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს უკვე დაგებული გზის საფარს.

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვას: მამუკა წიქარიშვილმა, ანა ხარებავამ, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 21, წინააღმდეგი 0)


2. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის #2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

*აზრი გამოთქვას: მამუკა წიქარიშვილმა, იმედა მეტრეველმა, მიხეილ ჯანაშვილმა.  
ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა*

*(განკარგულება ოქმს თან ერთვის)  
(მომხრე 21, წინააღმდეგი 0)*

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი